დამტკიცებულია: 29.03.2024 წელი

ბაფის გამგეობის სხდომა (ოქმი# 3)

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

2023 წლის საქმიანობის ანგარიში

1. ორგანიზაციული და საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი) არის წევრობაზე დაფუძნებული პროფესიული (არასამთავრობო, არაკომერციული) ორგანიზაცია. ბაფი შეიქმნა 1998 წლის 5 მაისს, საქართველოს ბუღალტერთა კლუბისა და ბუღალტერთა ასოციაციის გაერთიანების შედეგად. ბაფი არის საქართველოს ბუღალტერთა კლუბის (დაფუძნდა 1996 წელს) სამართალმემკვიდრე.

ბაფის მისია

ბუღალტერთა და აუდიტორთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, პროფესიული პრაქტიკის მაღალი სტანდარტების შენარჩუნება, ხარისხიანი და პროფესიული პასუხისმგებლობით მიდგომები აღრიცხვის, ფინანსური ანალიზის, აუდიტისა და მასთან დაკავშირებული სფეროების მიმართ, რათა ხელი შეუწყოს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და ბიზნესის ეფექტურ ფუნქციონირებას.

მისიის ფარგლებში:

- პროფესიული განვითარების მხარდაჭერა სერტიფიცირების პროგრამების, სემინარების, ვებინარებისა და სხვა ღონისძიებების მეშვეობით, აგრეთვე უახლესი ინფორმაციისა და რესურსების ხელ-მისაწვდომობის უზრუნველყოფა აღრიცხვის, აუდიტის, საგადასახადო და ფინანსური მენეჯმენტის სფეროში;
- პროფესიული პრაქტიკის ეთიკური პრინციპებისა და სტანდარტების პოპულარიზაცია, ორგანი-ზაციის წევრებისადმი პროფესიული ეთიკისა და ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მარე-გულირებელი ნორმების დაცვის მოთხოვნა;
- ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში მოწინავე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვის მხარდაჭერა, ორგანიზაციის წევრებს შორის გამოცდილების გაცვლისა და ცოდნის გადაცემის მხარდაჭერა;
- ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და ანგარიშგების მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავებასა და გაუმჯობესებაში მონაწილეობა და პროფესიის ინტერესების საკანონმდებლო და სამთავრობო უწყებების წინაშე წარდგენა.

ბაფის წევრები

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროს წარმომადგენელი ფიზიკური და იურიდიული პირები. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბაფის წევრია 5337 ფიზიკური პირი და 52 აუდიტორული კომპანია, რომლებსაც საქართველოში აუდიტორული საქმიანობის ბაზრის 85 პროცენტზე მეტი უჭირავთ. საქმიანობისა და წევრობის არეალი მოიცავს საქართველოს რეგიონებსა და რაიონებს.

ძირითადი საქმიანობა:

- ✓ ფიზიკური პირი წევრების პროფესიული გადამზადება, სერტიფიცირება და განგრძობითი განათ-ლება; დისციპლინური მოკვლევა და მონიტორინგი წევრების მიერ პროფესიული ეთიკის დაცვაზე;
- ✓ მცირე პრაქტიკის მქონე კორპორაციული წევრების მომსახურების ხარისხის განვითარების მხარდაჭერა; აუდიტის ხარისხის წინასწარი დიაგნოსტიკური ანგარიშების მომზადება;
- ✓ წევრების საკონსულტაციო მომსახურება; პროფესიული განათლებისა და სერტიფიცირების სახელ-მძღვანელო და დამხმარე ლიტერატურით წევრების უზრუნველყოფა; პროფესიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ლობირება; ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასთან შეთანხმებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

შვილობილი კომპანიები:

- ✓ შპს პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი;
- ✓ შპს „ჟურნალი ბუღალტრული აღრიცხვა“.

ორგანიზაციული სტრუქტურა:

- ✓ საერთო კრება–გამგეობა–კომიტეტები - აღმასრულებელი დირექცია–ფილიალები.

ფილიალები: აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, ქართლი, კახეთი, ფოთი, რუსთავი.

კომიტეტები: წევრებთან ურთიერთობის კომიტეტი, განათლების კომიტეტი, სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტი, აუდიტის ხარისხის კომიტეტი, საგადასახადო დაბეგვრის კომიტეტი, ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი, მცირე პრაქტიკის მქონე აუდიტორულ ფირმებთან ურთიერთობის კომიტეტი, პროფესიით დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის კომიტეტი.

აღიარება და რეპუტაცია:

- ✓ ბაფი 1999 წლიდან აღიარებულია აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციად და მონაწილეობს პროფესიის რეგულირებაში, კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ 1998 წლიდან თანამშრომლობს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსთან ფასს-ების ქართულ ენაზე თარგმნის სფეროში;
- ✓ 2000 წლიდან არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი;
- ✓ 2003 წლიდან, ბრიტანეთის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) საერთაშორისო პროგრამის ადაპტირებული ქართული პროგრამის საფუძველზე, ახორციელებს პროფესიულ სერტიფიცირებას;
- ✓ 2008 წლიდან ბაფის პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა აკრედიტებულია ACCA -ის მიერ;
- ✓ 2012-2016 წლებში მოქმედი კანონმდებლობით წარმოადგენდა პროფესიის მარეგულირებელ ორგანი-ზაციას და ახორციელებდა აუდიტური კომპანიების პროფესიული მომსახურების ხარისხის კონტროლის მონიტორინგს;
- ✓ 2016 წლიდან ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსა-ხურთან თანამშრომლობით, მონაწილეობს პროფესიის რეგულირებაში და არის საქართველოში ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების განმახორციელებელი ერთადერთი საგამოცდო ცენტრი;
- ✓ მიმდინარე ეტაპზე, ბაფი აქტიურად თანამშრომლობს ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროსთან დაკავშირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა: ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია (IFAC); ბრიტანეთის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაცია (ACCA); აზიის განვითარების ბანკი; ინგლისისა და უელსის დიპლომირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტი (ICAEW); მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრი (CFRR). აგრეთვე - საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, აკადემიურ სექტორთან;
- ✓ ბაფის სტაბილურობის, აღიარებისა და იმიჯის წყაროა გამართული ორგანიზაციული სტრუქტურა და მმართველობა, წევრებისადმი კოლეგიალური დამოკიდებულება, პროფესიონალიზმი და მომსახურების მაღალი სტანდარტი, პროფესიული ღირსება და ეთიკური ქცევა. ბაფის წარმატებებში მნიშვნელოვანია მისი პარტნიორების წვლილი.

საანგარიშო პერიოდამდე საქმიანობის შედეგები

- ✓ ბაფის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით:
- ✓ მიღებულ იქნა საქართველოს კანონი: „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ (1999 წელი) და „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ (2012 წელი);
- ✓ დაფუძნდა პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი (სასწავლო ცენტრი) და ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“;
- ✓ ჩამოყალიბდა სპეციალისტთა გადამზადებისა და განგრძობითი სწავლების სისტემა და დამკვიდრდა პროფესიული სერტიფიცირება;

- ✓ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები აღიარებულ იქნა საქართველოს ეროვნულ სტანდარტებად;
- ✓ პერიოდულად ითარგმნებოდა და გამოიცემოდა ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგა-რიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები. მზადდებოდა და გამოიცემოდა მათი პრაქტიკაში გამოყენებისათვის საჭირო ლიტერატურა;
- ✓ დაფუძნდა ბუღალტერთა და აუდიტორთა რეგიონული ფედერაცია „ევრაზია";
- ✓ ჩატარდა 12 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით;
- ✓ მომზადდა და ნორმატიული აქტების სახით გამოიცა მცირე ბიზნესის ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტები (2004 წელი) და არაკომერციული იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი (2006 წელი);
- ✓ ითარგმნა და გამოიცა: მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (2014 წელი); აუდიტის მეთოდოლოგიის, აუდიტორული მომსახურების ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი და მისი გამოყენების სახელმძღვანელოები (2012-16 წელი);
- ✓ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით გადამზადდა 30000-ზე მეტი ბუღალტერი;
- ✓ მთავარი ბუღალტრის სერტიფიცირების პროგრამით სერტიფიცირებულია 1300-ზე მეტი პირი;
- ✓ პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსი მოიპოვა 800-მდე პირმა;
- ✓ მიმდინარე ეტაპზე პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეობს სერტიფიცირების 12,000 -ზე მეტი კანდიდატი.

2. გამგეობის საქმიანობა საანგარიშო (2023 წელი) პერიოდში

საანგარიშო პერიოდში მოღვაწე ბაფის გამგეობის წევრები არჩეული იყვნენ ახალი სისტემით - წინასწარ განსაზღვრული კვოტებით. არჩევნების ახალი სისტემით ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა 2022 წლის დეკემბერში, მმართველობის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. გამგეობის შემადგენლობა საანგარიშო პერიოდში: რუსუდან ჟორჟოლიანი (გამგეობის თავმჯდომარე), ქეთი ყარაულაშვილი, ნიკოლოზ ჭაჭუა („დიდი ოთხეულის" აუდიტორული კომპანიები); ნოდარ ებანოიძე, ნიკოლოზ ბაკაშვილი, კონსტანტინე დათიაშვილი, დავით პაპიაშვილი, მზევინარ გურაბანიძე, ლია გოქსაძე (აუდიტორული კომპანიები); ლევან საბაური (განათლების სექტორი); ნონა რევაზიშვილი, სალომე ოდიშარია (ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრები).

საანგარიშო პერიოდში გამგეობამ ჩაატარა 11 სხდომა. სხდომებზე, ძირითადად, განხილული იყო 2022 წლის საერთო კრების მიერ საანგარიშო პერიოდისთვის განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულების ღონისძიებები, კერძოდ:

1. IFAC-ის წევრობის ვალდებულებების მოთხოვნების შესაბამისად დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული აქტივობები;
2. პროფესიით დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გაფართოება და წევრებთან ურთიერთობის საკითხის შემდგომი სრულყოფა;
3. ბაფის ,,გამგეობის წევრთა ქცევის კოდექსის" და ,,საკონსულტაციო საბჭოს დებულების" შემუშავება;
4. სტრატეგიული მიზნის შესაბამისად, საწესდებო ცვლილებების მომზადება და საერთო კრებისათვის წარდგენა.

სამოქმედო პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები:

IFAC-ის წევრობის ვალდებულების (SMO) შესრულების ფარგლებში ბაფ-მა IFAC-ში წარადგინა 2023 -2025 წლების განახლებული სამოქმედო გეგმა, რომელიც განხილული იქნა 8 ივნისს, ქ. ბათუმში IFAC-ის რეგიონულ მენეჯერთან - ტანია მუსუმჰთან დაგეგმილ შეხვედრაზე, ბაფის გამგეობის წარმომად-გენლებთან ერთად.

განხილვების შედეგად შეჯერებული სამოქმედო გეგმა მოწონებულ იქნა IFAC-ის მიერ, გამოქვეყნდა მათ ვებგვერდზე და მიღებულ იქნა მადლობის წერილი:

> „IFAC-ის თანამშრომლები ვულოცავთ თქვენს ორგანიზაციას ამ მნიშვნელოვან მიღწევებს, კერძოდ, ჩვენ ვაფასებთ თქვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის, თანამშრომლების და მოხალისეების ძალისხმევას. გთხოვთ ყველა მათგანს მადლობა გადაუხადოთ ჩვენი სახელით.
>
> მადლობას გიხდით შესაბამისი პროგრამისადმი თქვენი ერთგულებისათვის, რომელიც მიმართულია ბუღალტრის პროფესიის ხარისხისა და სანდოობის ასამაღლებლად მთელ მსოფლიოში“.
>
> *ტანია მუსუმჰი - IFAC-ის* რეგიონული *მენეჯერი*

პროფესიით დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გაფართოება და წევრებთან ურთიერთობის სრულყოფა. ამ მიზნით, ჩამოყალიბდა 3 ახალი კომიტეტი: პროფესიით დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის კომიტეტი; მცირე პრაქტიკის მქონე აუდიტურ კომპანიებთან ურთიერთობის კომიტეტი; ბუღალტრებთან ურთიერთობის კომიტეტი. შემუშავდა და დამტკიცდა მათი დებულებები; მომზადდა და საიტზე განთავსდა კომიტეტების სამოქმედო გეგმები.

გამგეობის წევრთა ქცევის კოდექსის და საკონსულტაციო საბჭოს დებულების შემუშავება. საანგარიშო პერიოდში მომზადდა საკონსულტაციო საბჭოს დებულება და ბაფის მმართველობისა და მენეჯმენტის ქცევის კოდექსი, რომლებიც განხილული და დამტკიცებული იქნა ბაფის გამგეობის მიერ და წარედგინა საერთო კრებას.

სტრატეგიული მიზნის შესაბამისად საწესდებო ცვლილებების რეგისტრაცია. 2022 წლის 24 დეკემბრის საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება - ,,წინასწარ განსაზღვრული კვოტებით“ გამგეობის წევრების არჩევის შესახებ, ასევე წესდების რედაქციული და სხვა, არაარსებითი, ცვლილები რეგის-ტრირებული იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში .2023 წლის 2 თებერვალს.

სამოქმედო პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებთან ერთად, საანგარიშო წელს, გამგეობის მიერ:

- დამტკიცდა 2022 წლის საქმიანობის შედეგები, 2023 წლის ბიუჯეტი და შეირჩა აუდიტის ჩამტარებელი კომპანია;
- დამტკიცდა კომიტეტების შემადგენლობა, მათი 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმები, პროგრამა და გრაფიკები;
- დაიგეგმა წევრებთან ონლაინ ფორმატში პერიოდული სემინარების ჩატარება 2023 წლისათვის და სემინარების თემატიკის მომზადება დაევალა შესაბამის კომიტეტებს;
- ჩამოყალიბდა ზედამხედველობის სამსახურთან საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფი (ზურაბ ლალაზაშვილი, რევაზ ძაძამია, რუსუდან ჟორჟოლიანი, ლევან საბაური, ლავრენტი ჭუმბურიძე);
- დამტკიცდა სავალდებულო განგრძობითი განათლების პროგრამის თემატიკა და შეირჩა სემინარების ჩამტარებელი პირი (იუაი).

გარდა ორგანიზაციული საკითხებისა, გამოვყოფთ:

✓ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან თანამშრომლობას ნორმატიული ბაზის ცვლილებების პროექტებზე, კერძოდ:

- ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონში ცვლილებების პროექტზე“ ბაფის წევრთა მოსაზრებების განზოგადება და შეჯერებული პოზიციის ზედამხედველობის სამსახურთან წარდგენა;
- სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტების ცვლილებების პროექტების განხილვა;

- მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტერთა პროფესიული კომპეტენციის ჩარჩოს განსაზღვრისა და კომპეტენციის მქონე ბუღალტერთა რეესტრის შექმნის კონცეფციის პროექტზე მსჯელობა და სხვ;

✓ ბაფისა და საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის ერთობლივ მსჯელობებს პროფესიაში მიმდინარე პროცესებზე. განსაკუთრებით, პოზიციების შეჯერებას კონცეფციაზე: „მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტერთა კომპეტენციის დადასტურებისა და რეესტრის წარმოების წესის შესახებ“.

✓ მიღწეულ იქნა შეთანხმებები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ:

- ბიზნეს ასოციაციებთან; შემოსავლების სამსახურთან;
- საპენსიო სააგენტოსთან;
- ბუღალტრული აღრიცხვის ბენეფიციართა ფონდთან და სხვ;

ბაფის საერთო (28-ე) კრება

2023 წლის 24 დეკემბერს გაიმართა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი) საერთო კრება, რომელიც ჩატარდა სასტუმრო „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში“. კრების დელეგატების განსაზღვრული რაოდენობიდან (374) დელეგატად დარეგისტრირებული იყო 356 წევრი. კრებას ესწრებოდა 241 დელეგატი და მოწვეული სტუმრები. ბაფის საანგარიშო პერიოდის საქმიანობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა გამგეობის თავმჯდომარემ. გაწეული საქმიანობის შესახებ დელეგატებს ინფორმაცია მიაწოდეს: პროფესიით დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ, ლევან საბაურმა; მცირე პრაქტიკის მქონე აუდიტურ კომპანიებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ, გიორგი ასლამაზაშვილმა; ბიზნესში დასაქმებულ ბუღალტრებთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ, სალომე ოდიშარიამ. ბაფის გამგეობის, კომიტეტებისა და აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ მოხსენებით წარსდგა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე თინათინ ღვინიფაძე (ანგარიში გამოქვეყნებულია ბაფის ვებგვერდზე). საერთო კრებამ კენჭი უყარა და დადებითად შეაფასა საანგარიშგებო პერიოდში ბაფის საქმიანობა (მომხრე 241, წინააღმდეგი 0). სხდომის თავმჯდომარემ კრებაზე განსახილველად გამოიტანა საკონსულტაციო საბჭოს მიერ მომზადებული „ბაფის მმართველობისა და მენეჯმენტის ქცევის კოდექსი“, რომელიც საერთო კრებაზე წარდგენამდე, განხილული და დამტკიცებული იყო ბაფის გამგეობის მიერ. ასევე, გამოქვეყნებული იყო ბაფის ვებგვერდზე და ფეისბუქგვერდზე. საერთო კრებამ წარმოდგენილ პროექტს კენჭი უყარა. კენჭისყრის შედეგები: მომხრე 233, წინააღმდეგი 8.

საერთო კრებამ, ბაფის ერთგულებისა და პროფესიაში გაწეული ღვაწლისათვის, **საპატიო სიგელებით და ვიმპელებით დააჯილდოვა ბაფის წევრები:**

აბაიშვილი ვახტანგი; აბულაძე იოსები; არჩაია დოდო; გამიაშვილი *შორენა; გელაძე ჟუჟუნა; თუთბერიძე კონსტანტინე; მენაბდე მადონა; ზაზაშვილი გია; ზაქარაია მაია; კურცხალია მაია; მიხელიძე ნანა; რომანაძე ნატო; ჩხაიძე ირმა; ჩოხელი გია; ჯაბნიძე ნატო; ხუსკივაძე ფრენო.*

3. კომიტეტებისა და აღმასრულებელი სტრუქტურის საქმიანობა

ბაფის კომიტეტები და აღმასრულებელი სტრუქტურა ერთობლივად მოქმედებდნენ გამგეობის სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების განსახორციელებლად.

წევრებთან ურთიერთობა. ბაფის წესდებისა და კომიტეტების სამოქმედო გეგმების შესაბამისად, საანგარიშო წელს აქტიურად მიმდინარეობდა წევრთა ინფორმირება და საკონსულტაციო მომსახურებები, როგორც სატელეფონო, ასევე წერილობითი ფორმითა და ჟურნალის ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ მეშვეობით.

კომიტეტების ჩართულობითა და აღმასრულებელი სტრუქტურის ორგანიზებით:

- პერმანენტულად ტარდებოდა თემატური სემინარები - ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის, საგადასახადო დაბეგვრის, პროფესიული ეთიკის და წევრებისათვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე;
- გაიმართა რეგიონული შეხვედრები პროფესიის წარმომადგენლებთან - ბათუმში, ქუთაისში, თელავში;
- მოეწყო „ღია კარის“ დღე ბაფის გამგეობის, კომიტეტების და აღმასრულებელი სტრუქტურის ერთობლივი მონაწილეობით

წევრების სტატისტიკა 2023 წელს. საანგარიშო წელს ბაფის ფიზიკური პირი წევრების რეესტრიდან ამოღებული იყო - 611 პირი, მათ შორის 11 ნამდვილი და 600 ასოცირებული წევრი; მიღებულ იქნა - 512 ასოცირებული წევრი; ნამდვილი წევრი გახდა 23 სერტიფიცირებული პირი.

ბაფის წევრების სტატისტიკა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

- ფიზიკური პირი - 5337 აქედან: ასოცირებული წევრი - 4590, სერტიფიცირებული ბუღალტერი - 747, მ.შ. აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული -321;
- იურიდიული პირი - 52 აუდიტური კომპანია.

განათლება და სერტიფიცირება

მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტერთა მხარდაჭერა. მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგებისადმი ინფორმაციის მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნების გათვალისწინებით, ამ სექტორში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების შედეგად, საანგარიშო წელს მომზადდა კონცეფცია: „მცირე და საშუალო ბიზნესის ბუღალტერთა კომპეტენციის დადასტურებისა და რეესტრის წარმოების წესის შესახებ“.

კონცეფცია ეფუძნება ნებაყოფლობით პრინციპს, რაც გულისხმობს ბუღალტრის თავისუფალ არჩევანს სერტიფიცირებისა და პროფესიული კომპეტენციის დადასტურების პროცესში მონაწილეობაში. იგი შემუშავებულია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის განათლების სტანდარტებისა და რეკომენდაციების საფუძველზე.

კონცეფციის ძირითადი ასპექტებია:

- ბუღალტერთა პროფესიული კომპეტენციის ჩარჩოს განსაზღვრა;
- შესაბამისი პროგრამის, სილაბუსებისა და პრაქტიკული სახელმძღვანელო ლიტერატურის შექმნა;
- ერთიანი საგამოცდო პროცესის ჩამოყალიბება;
- პროფესიული კომპეტენციის მქონე ბუღალტერთა რეესტრის შექმნა;
- კომპეტენციის შენარჩუნება - განგრძობითი სწავლებით;
- პროგრამაში ნებაყოფლობით მონაწილეობა;

განათლების კომიტეტის, დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის კომიტეტისა და აღმასრულებელი სტრუქტურის ერთობლივი ძალისხმევით, კონცეფციის დებულებები განხილულ იქნა: რეგიონებში; პროფესიულ ორგანიზაციებსა და გაერთიანებებთან; ბიზნესასოციაციებთან; პროფესიის ზედამხედ-ველობის სამსახურის წარმომადგენლებთან.

განგრძობითი განათლება

2023 წლის სავალდებულო განგრძობითი სწავლება განხორციელდა ორი პროგრამით:

პროგრამა - SARAS-CPD-017/23 აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული პირები; და

პროგრამა - SARAS-CPD-018/23 სერტიფიცირებულ ბუღალტერთა რეესტრში რეგისტრირებული (არააუდიტორი) პირები.

განგრძობითი განათლების სემინარები ჩატარდა 2023 წლის 11 სექტემბრიდან 22 ნოემბრის პერიოდში. პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული სასწავლო მასალები მოამზადა და სემინარები ჩაატარა შპს „იუაი საქართველომ“. განგრძობითი სწავლების სემინარები ჩატარდა ონლაინ ფორმატით. სემინარის მონაწილეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ პროგრამის თემატიკა და ჩატარებული სემინარები დადებითადაა შეფასებული.

2023 წლის სავალდებულო განგრძობითი სწავლებას დაქვემდებარებული წევრებისა და განგრძობითი განათლების პროგრამების მოთხოვნების დადასტურების სტატისტიკა:

უდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული ბაფის წევრი 321 სერტიფიცირებული პირიდან, 2023 წლის განგრძობითი განათლების პროგრამის მოთხოვნების შესრულება დაადასტურა 318 პირმა, მათ შორის:

- ბაფში განგრძობითი სწავლების სემინარი გაიარა - 289;
- აუდიტური კომპანიების განგრძობითი სწავლება ჩაეთვალა - 23;
- სხვა პროფესიული ორგანიზაციის განგრძობითი სწავლების სემინარი ჩაეთვალა - 4;
- საანგარიშო პერიოდში განგრძობითი სწავლება არ მოეთხოვებოდა - 2;
- განგრძობითი სწავლების მოთხოვნა ვერ დაადასტურა - 3.

სერტიფიცირებულ ბუღალტერთა რეესტრში რეგისტრირებული 426 პირიდან, განგრძობითი განათლების პროგრამის მოთხოვნების შესრულება დაადასტურა 287 პირმა, მ.შ. აუდიტორებისათვის დადგენილი პროგ-რამით (SARAS-CPD-017/23) 94 პირმა. განგრძობითი სწავლების მოთხოვნა ვერ დაადასტურა - 139 პირმა.

განგრძობითი განათლების პროგრამის მოთხოვნების ბოლო 3 წლის განმავლობაში ვერდადასტურების გამო, საანგარიშგებო წელს სერტიფიცირებულ პირთა რეესტრიდან ამოღებულია 11 პირი.

პროფესიული სერტიფიცირება. 2023 წელს ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში ჩაერთო 413 კანდიდატი. გამოცდების შედეგების მიხედვით: პირველი ეტაპის სერტიფიკატი მიიღო - 79 კანდიდატი; მეორე დონის - 37 კანდიდატი; სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი მიენიჭა 23 კანდიდატს, მათ შორის 9 კანდიდატი სერტიცირებულია სრული პროგრამით, 7 - სერტიფიცირების (5 მოდული) პროგრამით კანონმდებლობის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, აღიარების სერტიფიკატი მიიღო 7 პირმა.

სერტიფიცირების პროგრამის განახლების სამუშაოები. საანგარიშო წელს განახლდა და გამოიცა სერტიფიცირების პროგრამის მოდულები:

- ✓ ,,უმაღლესი აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“;
- ✓ ,,ბიზნესი და ტექნოლოგია“ (ყოფილი ,,ბუღალტერი ბიზნესში“).

პროფესიული სერტიფიცირების კანდიდატებისათვის განახლებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია და გამოცემის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ბაფის ვებგვერდზე.

აუდიტის პრაქტიკის განვითარება

აუდიტის ხარისხის კომიტეტის მიერ, საანგარიშო პერიოდში, 3 კორპორაციულ წევრთან განხორციელდა წინასწარი მონიტორინგი და გაიცა ,,დიაგნოსტიკური ანგარიში“.

შემუშავდა აუდიტორების/აუდიტორული ფირმების დიაგნოსტიკის განხორციელებისათვის, ხმსს 1-ის მოთხოვნების შესაბამისად, ახალი, გადასინჯული კითხვარი.

2024 წლიდან ამ კითხვარის გამოყენებით შეფასდება აუდიტორულ ფირმებში ხარისხის მართვის სისტემებთან დაკავშირებული პრობლემები და საჭიროებები. დახმარების მიზნით დაიგეგმება შესაბამისი ღონისძიებები.

მცირე პრაქტიკის მქონე აუდიტორულ ფირმებთან ურთიერთობის კომიტეტისა და აღმასრულებელი სტრუქტურის ერთობლივი ძალისხმევით, კორპორაციულ წევრებთან ფართო კომუნიკაციით, დაიგეგმა აუდიტის პრაქტიკის ინტენსიური სასწავლო კურსი -„ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგების შესრულების უნარის გაუმჯობესება“. საპილოტე პროექტის ფარგლებში დაკომპლექტდა 17-კაციანი ჯგუფი, შეირჩა შესაბამისი კვალიფიკაციისა და პრაქტიკის მქონე ტრენერი და ჩატარდა 75-საათიანი

პრაქტიკული კურსი, HAT-ის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოსა და აუდიტის ელექტრონული დოკუმენტირების პროგრამა e-dok-ის გამოყენებით. მიგვაჩნია, რომ ექსპერიმენტმა გაამართლა, თუმცა, მცირე პრაქტიკის მქონე აუდიტური ფირმების პრობლემატიკა კვლავ აქტუალური რჩება და ინტენსიურად მიმდინარეობს ამ ფირმების წარმომადგენლებთან ონლაინ შეკრებები და გზების ძიება მათი სამომავლო განვითარებისათვის.

მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის პროექტი (გრანტი)

ახალი შესაძლებლობები ბუღალტრული სერვისების მიმწოდებლებისათვის. 2022 წლის ნოემბერში, ბაფსა და რეგიონებში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პროექტს (RSMEDP) შორის ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის მიზანია გაუმჯობესებული ფინანსური საკონსულტაციო სერვისების მიწოდება რეგიონებში მდებარე მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის.

RSMEDP-მ და ბაფმა შეისწავლეს და გამოავლინეს მემორანდუმში მოცემული მიზნის მიღწევის გზა, შეიმუშავეს კონცეფცია, რომლის პილოტირებისთვისაც გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება N1/2022, გრანტის სამუშაო გეგმა ითვალისწინებდა შემდეგს:

- პროექტის მართვის ჯგუფის შერჩევა, სამუშაოების გეგმა-გრაფიკის შედგენა;
- რეგიონებში ტრენერების და კოორდინატორების შერჩევა და მათი ტრენინგის სააპლიკაციო ფორმების მოპოვება, სატრენინგო აუდიტორიების შერჩევა მომზადება;
- ტრენინგების მასალის მომზადება-გადაცემა;
- მიკრო და მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა ტრენინგების წარმომადგენელთა შერჩევა;
- მიკრო და მცირე ბიზნესის წარმომადგენელთა ტრენინგები რეგიონებში;
- ტრენინგების ადმინისტრირება - პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგი ადგილზე რეგიონებში;
- პროექტის საინფორმაციო უზრუნველყოფა, გაშუქება.
- სერვისების სუბსიდირებისათვის ფიზიკურ პირთა, საწარმოთა შერჩევა და პროცესის ადმინისტრირება.

პროექტის მიმდინარეობა და შედეგები. პროექტით გათვალისწინებული ბიზნესის მხარდაჭერის ღონისძიებების ეფექტური განხორციელებისათვის შერჩეული იქნა სამუშაო ჯგუფი ბაფის ადმინისტრაციული ნაწილიდან: პროექტის ხელმძღვანელი, პროექტის კოორდინატორი, პროექტის რეფერენტი და პროექტის ბუღალტერი.

საანგარიშო პერიოდში, 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის ნოემბრის ჩათვლით, პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის საქართველოს ოთხ რეგიონში: აჭარა, იმერეთი, სამეგრელო და კახეთი - შერჩეული იქნა შესაბამისი განათლების და ცენზის მქონე გამოცდილი ტრენერები და საქმის წარმმართველი კოორდინატორები, განისაზღვრა მათი საქმიანობის და ვალდებულებების არეალი.

პროექტის დაწყებიდან მალევე მოხდა ტრენინგებისათვის იმ პირების შერჩევა, რომლებიც პროექტის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნენ სასწავლო მასალითა და ლექციებით (ტრენინგებით), კონსულტაციებითა და ფინანსური მხარდაჭერით.

ტრენინგების ჩასატარებლად მომზადდა პრაქტიკული მასალა. პირველ ეტაპზე ტრენინგები ჩატარდა რეგიონებში შერჩეული 8 ტრენერისათვის, ხოლო მიკრო და მცირე საწარმოთა წარმომადგენლებისათვის ტრენინგები ჩატარდა პროექტის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 60 მსმენელმა.

პროექტის ეფექტური განხორციელების მიზნით, მოხდა პროექტის ფარგლებში საქმიანობის საინფორ-მაციო უზრუნველყოფა სხვადასხვა საშუალებებით. ინფორმაცია მომზადებული და გამოქვეყნებული იქნა ბაფის ყოველთვიურ ჟურნალში „ბუღალტრული აღრიცხვა“, ბაფის ვებგვერდზე განთავსდა ინფორმაცია და მასალები პროექტის მიზნებსა და ამოცანებზე. ასევე, ინფორმაცია მიწოდებული იქნა სოციალური ქსელის, ბაფის „ფეისბუკ“ გვერდის მეშვეობით, აგრეთვე ბაფის წევრ ბუღალტრებს ინფორმაცია გაეგზავნათ ელ.ფოსტის მისამართზე.

2022 წლის 15 ნოემბრიდან დაწყებული იქნა პროექტის ბენეფიციარებთან (საწარმოები) სახელშეკრულებო ურთიერთობების წარმოება. გაფორმებული იქნა საგრანტო ხელშეკრულება (1/2022/01) ბაფს-ს და ცალკეული საწარმოს მიმართ დაფინანსების გაცემის შესახებ, სულ შესაბამის პერიოდში გაფორმებული იქნა 157 ხელშეკრულება სხვადასხვა საწარმოსთან გრანტით მომსახურების შესახებ; ამავე პერიოდში პროექტი სრულყოფილად დაასრულა 136 საწარმომ, რაც დასრულებული პროექტების სახით 86,62%-ს შეადგენს. გრანტის საერთო კაპიტალი შეადგენდა 626,162 ლარს, მათ შორის, ბაფის თანამონაწილეობა შეადგენდა 26,862 ლარს, გრანტში მონაწილე საწარმოთა თანადაფინანსება - 231,250 ლარს, ხოლო უშუალო გრანტი - 368,050 ლარს.

გრანტის ფარგლებში სამუშაოები გრძელდება, მათი დასრულება გათვალისწინებულია 2024 წლის ივნისში.

საქმიანობის მართვა. ფინანსური შედეგები და ფუნქციონირებადობა

ბაფის მიმდინარე საქმიანობის მართვას ახორციელებს აღმასრულებელი სტრუქტურა. იგი უზრუნ-ველყოფს გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას, ბაფს წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობებში სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მართვის სფეროში, ადგენს ბიუჯეტს და ახორციელებს ფინანსურ და ბიზნეს ფუნქციებს მისი შესრულების უზრუნველსაყოფად. სრულყოფილი მართვისა და ფუნქციების ხარისხიანად განხორციელების მიზნით, ხელმძღვანელობს გამგეობის მიერ დამტკიცებული შიდა ნორმატიული აქტებით.

საქმიანობის შეფასების ძირითად კრიტერიუმებად შეიძლება განვიხილოთ:

- წევრების მხარდაჭერა - კონსულტაციები, პროფესიული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, სახელმძღვანელო ლიტერატურით უზრუნველყოფისა და ტრენინგების გზით;
- პროფესიის განვითარების მხარდაჭერა - ზედამხედველობის სამსახურთან, დონორ ორგანიზაციებთან და სხვადასხვა სტრუქტურებთან თანამშრომლობა;
- ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრობის ვალდებულების (SMO) შესრულება;
- ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები და ფინანსური სტაბილურობა (ფუნქციონირებადობა).

2023 წელს მომზადდა 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, რომელიც, როგორც წესი, ითარგმნა ინგლისურ ენაზე და გაიგზავნა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში. საანგარიშგებო პერიოდისათვის დაგეგმილი ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობა მოცემულია 2023 წლის ბიუჯეტში.

ეს მასალები გამოქვეყნებულია და მისი გაცნობა შესაძლებელია ვებგვერდზე: baf.ge – „ საქმიანობის ანგარიშები“.

2024 წლის მეორე კვარტალში დასრულდება საანგარიშო წლის ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად განთავსდება ვებგვერდზე: baf.ge – „საქმიანობის ანგარიშები“.

ინფორმაციის საჯაროობიდან გამომდინარე, წარმოდგენილ საქმიანობის ანგარიშში, ბიუჯეტის შესრულებისა და ფინანსური საქმიანობის დეტალებს არ მიმოვიხილავთ. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ საანგარიშგებო წელს განხორციელებული საქმიანობა თანხვედრაშია ბიუჯეტით დაგეგმილთან.

2024 წლის სამოქმედო პრიორიტეტები

როგორც წესი, ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, საერთო კრება განსაზღვრავს მომდევნო წლის სამოქმედო პრიორიტეტებს.

2023 წლის 24 დეკემბრის საერთო კრებაზე მიღებული სამოქმედო პრიორიტეტები 2024 წლისთვის:

- IFAC-ის წევრობის ვალდებულების მოთხოვნის შესაბამისად დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებული აქტივობები;
- პროფესიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის განვითარების კუთხით აქტიური ჩართულობა. საზედამხედველო რეგულაციაში დამოუკიდებელი საბჭოს როლისა და ფუნქციების, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით სრულყოფა;
- წევრებთან საკომუნიკაციო საშუალებების დახვეწა და მათი ეფექტური გამოყენება, ონლაინ ჩართვებისა და პირდაპირი შეხვედრების გააქტიურება;
- ბუღალტერთა პროფესიული სერტიფიცირების ინიცირებული პროგრამის დანერგვა, შესაბამისი რეესტრის შექმნა;
- 2024 წლის გამგეობის არჩევნების ჩატარების ორგანიზება, ბაფ-ის „მმართველობის წევრთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნების გათვალისწინებით, კანდიდატებისა და ამომრჩეველთა მაღალი პასუხისმგებლობით და გაცნობიერებული არჩევანით;
- ბაფის ,,გამგეობის დებულების“ შემუშავება და საჭიროების შემთხვევაში საერთო კრებისათვის წესდების ცვლილებების პროექტის წარდგენა.

გამგეობის თავმჯდომარე: რუსუდან ჟორჟოლიანი

აღმასრულებელი დირექტორი: ლავრენტი ჭუმბურიძე

Lavrenti Tchumburidze 01025008674
Digitally signed by Lavrenti Tchumburidze
Date: 2024.04.08 15:38:22